№ 166

ხუთშაბათი, 14 აგვისტო 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 166

ხუთშაბათი, 14 აგვისტო 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაგარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—127—13)

### რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, თუმანს უნდა დაუმატონ კიდევ 3 მან. 33 კაპ.

### ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა.

აგვისტოს 26, 27 და 28 რიცხვებში მოხდება მისაღები ეგზამენები. 1 და 2 ენკენისთვეს იქნება ხელმეორედ გამოცდა ზოგიერთ შეგირდებისა. 3 ენკენისთვეს გარდახდილ იქნება პარაკლისი და სწავლა დაიწყება.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა; ბ) ყვავილის აცრის მოწმობა და გ) მოწმობა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ მთხოვნელი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი ალ. ალ. გარსევანაშვილი

(3—6.—1)

შემდგარი ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლის მსურველ გეოლოგთა და ექიმთა მისაღებად ადგილობრივი

**კომიტეტი**

**მიმართავს ადგილობრივ მცხოვრებლებს** და სთხოვს, ხომ არავინ დაინახავს შესაძლებლად **მოათავსოს თავისს სახლში** ერთი ან რამდენიმე ამ სტუმართაგანი 20 აგვისტოდგან 1 სექტემბრამდე. მსურველთ ვთხოვთ აცნობონ თავისი სურვილი კომიტეტის თავმჯდომარეს ექიმს ევგენი პავლეს ძე გაუდელინს, რომელიც სცხოვრობს დიდს ვოდოვოზოვის ქუჩაზედ, ოზეროვის სახლში.

აგრეთვე კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს ყველა იმათ, ვინც **უცხო ქვეყნის ენები იციან** და ვისაც ჰსურს დახმარება აღმოუჩინოს კომიტეტს, აუწყონ ეს ამბავი კომიტეტის თავმჯდომარეს.

კომიტეტის წევრი ექიმი ივ. ზაქ. ლორის-მელიქოვი.

(3—უ—1)

### მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნენ: ბათუმის ოლქის, კინტრიშის ნაწილის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებელი კოლეჟსკი რეგისტრატორი კადიეიშვილი—არაჯინის ნაწილის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად; დაღესტნის ოლქის გუნიბის ნაწილის უფროსის თანაშემწე ნადვორნი სოვეტნიკი თავადი შალიკაშვილი—ავარის ოლქის უფროსის თანაშემწედ; განჯის გუბერნატორის კანცელარიის გამგეს უმცროსი თანაშემწე გუბერნსკი სეკრეტარი მიქაბერიძე—განჯის ციხის ზედამხედველის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად; ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტში კურს-დამთავრებული დავით ბესარიონის ძე მდივანი—ქუთაისის ოლქის სასამართლოში სასამართლო თანამდებობათა უმცროს კანდიდატად.

გადაყვანილ იქმნა დროებით განჯის მაზრის უფროსი ყანჩელი-ყაზახის მაზრის უფროსად.

გადაყენებულ იქმნენ სამსახურიდგან განჯის ციხის ზედამხედველი, კოლეჟსკი ასესორი მახარაძე და ყაზახის ციხის ზედამხედველი, კოლეჟსკი ასესორი კარგარეთელი.

დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით, სიღნაღის მაზრის პოლიციის სამმართველოს კანცელარიის მოხელე ვლადიმერ გიქიმყრელი.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის ვაჭართა საზოგადოებამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტს ფელიქს ფორს: „ტფილისის ვაჭართა საზოგადოება, შორეულ კავკასიიდგან აღვსილი ულრმესის პატივისცემისა და მადლობის გრძნობით იმ აღტაცებულის მიღებისა გამო, რომელიც საფრანგეთის ერმა გაუმართა შარშან მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათ, ხელმწიფე იმპერატორსა და ხელმწიფა იმპერატრიცას, საფრანგეთის სატახტო ქალაქში ყოფნის დროს, სთხოვს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ფელიქს ფორს, მიიღოს გულითადი, კავკასიური სალამი რუსეთში მობრძანებისა გამო. დაე, ეგ მობრძანება ახალი საბუთი იქმნეს მრეწველობისა და აღებ მიცემობის გასაძლიერებლად ორს დიდს სახელმწიფოთა შორის“.

*** რადგანაც რუსეთში ამ ბოლოს დროს სამთო მრეწველობამ ძალიან იმატა და სპეციალურს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი-კი ცოტანი არიან და რაც მათში მოთხოვნილებაა, ვერ აკმაყოფილებენ, უფრო-კი კავკასიასა და ციმბირში, სადაც ამ ბოლოს დროს სამთო მრეწველობა დღითი-დღე იზრდება, ამისათვის სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გარდაუწყვეტია ტფილისსა და ტომსკში ახალი სამთო სასწავლებელი დააარსოს. დებულება ამ სასწავლებლების შესახებ უკვე შედგენილია და ამ მიმდინარე წელს სახელმწიფო საბჭოს წარუდგენენ განსახილველად.

*** 11 აგვისტოს, საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორის რუსეთში მოსვლის გამო, მუშტაიდსა და სხვა ადგილებში, სადაც მუსიკა იყო, ხალხმა რამდენჯერმე ფრანგული საერო საგალობელი მარსელიეზა დააკვრევინა.

*** გუშინ წინ, 12 აგვისტოს, დაასაფლავეს ვანქის ეკკლესიის ეზოში გენერალ ლეიტენანტის ს. ი. ქიშმიშოვის გვამი. დასაფლავებას

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

ძველს აკლდამებს ნუ ჩავცქერით,
დროა ვძებნოთ მომავალი
და ჩვენ მერმისს დავუტოვოთ
გაკაფული გზა და კვალი.
დეე, შევსვათ, ნუ ვინაღვლით,
სასიკვდილო მწარ-ფიალი,
პირს ნუ ვუფრთხით, კაცის თავზედ
არა-რა არს გადუვალი!..

გოჩა

### ბაგრატ-მირზა

(ისტორიული ამბავი)

(შემდეგი *)

III

მზე დიდებულად ესვენება დასავლეთისკენ და ეთხოვება თოვლით მოსილს კავკასიონის მთის მწვერვალებს. მზის სხივების სიბრწყინვალე თან-და-თან თხელდება, ფერი ეკარგება როგორც მომაკვდავს ტურფა ასულსა. მზე ჩაესვენა, დაწვა თავის სარეცელზედ, რომ ხვალ დილით თავისის ძლიერებით უფრო ცხოვლად აღმოაშუქოს და დედა-მიწას ახალი დილა ახაროს. საზამთროდ საქართველოში დარჩენილი ფრინველები, ხის წვერზედ დამსხდარნი გაშტერებით და ნაღვლით შესცქერიან მზის დიდებულს ჩასვლას, თითქოს ეშინოდესთ ღამის მოახლოვებისაო. ცის კამარას ბნელი ეფინება... მაგრამ კაცთა სანუგეშებლად ჩასვენებული მნათობის ნაცვლად, ახლა მეორე მნათობი ნელ-ნელა აპირებს ამოსვლას; თითქოს ერთბაშად ვერ ჰბედავს გამოჩნდეს ცაზედ ბრწყინვალე მზის შემდეგ... ყოველი არსი მოელის დასვენებას, ტკბილს ძილს, მაგრამ ვინ იცის, ამ ღამეს რამდენი უბედურება მოხდება?!. ეს მთვარეც, რომელმაც აი აგერ მედიდურად ამოჰყო თავი მთების იქიდგან, იქნება მოწმე ყოველ ამაღამის უბედურობათა, მაგრამ წარბსაც არ შეიხრის ამითი... ბევრს ტანჯვას ნანახი ქართველი გლეხი იმედს არა ჰკარგავს და ამ საღამოს თავისს ცოლშვილს უბრუნდება.

უნუგეშოდ წევს გლეხი გაბრიელი სახლში; ჰრილობანი გასივებია, მარჯვენა მკლავს ვერა სძრავს ალაგიდგან და ბოლმით ავსებია გული. ხმელს ჰილობზედ მწოლს თავ-ქვეშ ფიცრის სასთუმალი დაუდვია ღ პირ აღმა დაწოლილი თავისის სახლის გამჭვარტლულს ჭერს შესჩერებია. იმისი ცოლი და მისი ორი პატარა ვაჟი ამ დროს გარეთ საქმობენ. ხან გამოშვებით გაბრიელი ისე მძიმედ ამოიოხრავს, თითქოს სიკვდილს ებრძვისო, ამოიოხრავს და, თან დედაბოძისკენ მიიხედავს და ცრემლებსა ჰღვრის. იმის საყვარელი ქალი ნატო დღეს თოკით მიბმულია ბოძზედ და ჰბოდავს რაღაცასა, უაზროდ სიტყვებს დუდუნებს. მაგარის თოკით მიბმული ნატო გაშტერებით დასჩერებია დედა-მიწას; ხან-და-ხან საზარელის ხმით წამოიკივლებს, ხან მწარე მოთქმით სტირის, ხან ხითხითებს, ხან ყმუის, ხან კნავის... ტანისამოსს იგლეჯს, თოკს კბილებით სწიწკნის და საზოგადოდ თავისებურს ქვეყანაშია, როგორც შეჰფერის ჭკუაშეშლილს. ასეთი მდგომარეობა საყვარელის შვილისა გაბოს გულს შუაზედ აპობს და სულს უთუთქავს. განა გაბო ამ წამს სიკვდილს ინანებს? მას უჯობს სიკვდილი სიცოცხლესა,—სამარეში, შავ მიწის ქვეშ გაბრიელი ტკბილად დაიძინებს... სტირის გაბრიელი პატარა ბავშსავით. ხან ზეზედ წამოდგება ხოლმე, მაგრამ ჰრილობით დასუსტებული დიდხანს ვერა სძლებს და ისევე წვება.

— გაბო როგორ არის? იკითხა ამ დროს ვიღაცამ გარეთ.

— ისევ ისე ცუდად გახლავთ; ვაი თუ მარჯვენა წაერთვას, მიუგო ელენემ.

— არა უშავს-რა... მამა პეტრე უექიმებს...

— ის გაანათლოს ღმერთმა, კაი ხანია მეც იმას ველი.

— ნატო რაღასა იქმს, ჩემი ნათლული...

— ისე შენი მტერი იყოს, როგორც ის არის.

— ნათლია, ნათლია! უცებ დაიძახა ნატომ.

გაბრიელი მიხვდა, რომ იმის ცოლს ელაპარაკებოდა ჩვენი ნაცნობი მოსე, ნატოს ნათლია. გაბრიელის გულს სოსეს ხმის გაგონებამ ცოტა სევდა შეუმჩატა.

— სოსე, ჰა სოსე! შემოდი აქა. გამოსძახა შიგნიდგან გაბრიელმა.

— ნათლია!.. სთქვა ნატომ...

გარედგან შინ შემოვიდნენ: სოსე, ნატო და გაბრიელის ორი პატარა ვაჟი. ნენემ ჭრაქი აანთო, რომელსაც მაშინ სანთლის მაგიერად ხმარობდნენ სტუმრიანობის დროს.

— აქა მშვიდობა, სთქვა სოსემ და გაბრიელის გვერდით ქვაზედ დაჯდა.

— განა საცოდავს ქართლში მშვიდობა შესაძლებელია?! სთქვა გაბომ.

— სოსე ზეზედ ადგა და მივიდა ნატოსთან.

— რა შვრები, გოგო, რა დაგემართა“?!

— ხა! ხა! ხა! ხა!.. გადიხარხარა ნატომ.

— ე თოკი რად მოგიბავს, გოგო?!.

— ეშმაკებისა მეშინიან...

— სად არის ეშმაკები?

— შენს თავში! მიუგო ნატომ.

— სოსემ ამოიოხრა და უკან გამობრუნდა, თითქოს ეშინოდა, ეშმაკები მართლა არ გამოჩნდენო თავში. ნატომ ხარხარი განაგრძო, შემდეგ დაჯდა ძირს, დაჰკიდა თავი და დაიწყო გულის გამგმერი ტირილი, მერე ისევ ხარხარს მოჰყვა... ელენე კარში გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ შინ შემოიყვანა ჩვენი ცნობილი

*) იხ. „ივერია“ № 165.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე, გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, გენერლობა და სხვანი. განსვენებულს უკანასკნელად პატივი სცეს ქვეითა და ცხენოსანმა ჯარმა და დასაფლავების დროს თოფები დასცალეს.

*** ივლისის ნახევარში ტფილისის მცხოვრების გიორგი საბიაშვილის სახლში (მეათე ნაწილში, ფრანგების სასაფლაოსთან), შეირბინა ძაღლმა და დაჰკბინა საბიაშვილის 6 წლის ბავშვი. მშობლებმა ბავშვი იმავე დღეს წაიყვანეს საბაქტეოროლოგიო სადგურზედ ცოფის ასაცრელად, რადგანაც ძლიერ ეშინოდათ, ძაღლი ცოფიანი არ იყოსო. ჩვიდმეტი დღე ატარეს ბავშვი სადგურზედ და ცოფს უცრიდნენ. მეჩვიდმეტე დღეს მშობლებს უთხრეს, აცრა საკმარისია და ნუღარ მოიყვანთო. 5 დღის შემდეგ ბავშვს გამოაჩნდა ცოფის ნიშნები და ისევ საბაქტეოროლოგიო სადგურზედ წაიყვანეს, მაგრამ აქ ისე სთქვეს, ჩვენ ეხლა ვეღარას ვუშველით, ჩვენი მოვალეობა შევასრულეთო. ბავშვი წაიყვანეს სახლში და მეორე დღეს, 10 ივლისს გარდაიცვალა.

ეს ამბავი მით უფრო სამწუხაროა, რომ მთელი უბანი ასე ამბობს—ექიმებმა მოჰკლეს ბავშვი, ძაღლი ცოფიანი არა ყოფილა და იმათ აცრით შეჰყარეს ეს სენიო. გამწარებული დედ-მამაც აბა რას არ იფიქრებს. ესენიც ძლიერა ჰნანობენ, ნეტა ექიმთან არ წაგვეყვანა და შინაურის წამლით გვეწამლაო. ბევრი დაუკბენია ცოფიან ძაღლსა, მაგრამ შინაურის წამლით ყველანი მორჩენილანო.

*** კავკასიის სამკურნალო წყლებზედ 2 აგვისტომდე სულ 8,691 კაცი მისულა საექიმოდ. შარშან ამ დროს 7,778 კაცი ყოფილა. ამოდენა ხალხი არასოდეს არა ყოფილა.

*** „კავკაზს“ სწერენ გორის მაზრის სოფ. ალაიანიდგან, რომ აქ ყვავილი გაჩნდა და რამდენიმე სული იმსხვერპლაო. ამბობენ, რომ ამ სოფელში ექვსი-შვიდი წელიწადია ყვავილი არავის აუცრიაო.

*** როგორც გორიდგან გვატყობინებენ, საქონლის ჭირი თურმე გავრცელებულა ქალაქში, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს და დახოცილს საქონელს პირ-და-პირ მტკვარსა და ლიახვში ჰყრიან. ეჭვი არ არის, ვერაფერი შედეგი მოჰყვება ამას, თუ დროზედ საწინააღმდეგო საშუალებანი არ იღონეს. გორი, როგორც სამაზრო ქალაქი, ამ დღით სოფლიდგან ჩამოსულ გლეხობით სავსეა და შეიძლება ჭირი ისეთ სოფლებშიაც იქმნას გადატანილი, სადაც ჯერ იგი არ არის.

*** მთელი გორის მაზრა ამ ჟამად მეტად უკმაყოფილო თურმეა, რომ ადგილობრივი პოლიცია ოსყაჩაღებს, რომელნიც სოფლიდგან სოფლად თამამად ჰმოგზაურობენ, მცხოვრებთ ხარჯს აწერენ და მოსვენებას არ აძლევენ, ასე გულგრილად ეკიდება და მათი შეპყრობა ვერ მოუხერხებია. ამ ორის დღის წინად პირადად შემოგვჩიოდა ერთი გორის მაზრის მემამულე, რომ სოფლიდგან სოფელში ვერ გადავსულვართ იმათის შიშით და მუდამ იარაღით დავიარებითო.

*** სოფ. რუისი. 6 აგვისტოს, ფერის-ცვალება დღეს, ჩვენმა ნიჭიერმა არტისტმა ქალმა ლ. ჩერქეზიშვილისამ ბ-ნ ადამიძის და ჩვენი სოფლის სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართა წარმოდგენა. ითამაშეს თ. რაფ. ერისთავის ორ-მოქმედებიანი ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“. წარმოდგენამ, იმისდა მიუხედავად, რომ სცენა ვერ იყო შესაფერად მოწყობილი, მშვენივრად ჩაიარა და დამსწრე საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა, როგორც არტისტების, აგრეთვე ახლად გამოსულის სცენის მოყვარეთა თამაშობით. განსაკუთრებით საზოგადოება ბევრი აცინა თავისის ხელოვნურის თამაშობით ლ. ჩერქეზიშვილისამ, რომელიც ამ პიესაში მართლაც-და შეუდარებელია. არა უშავდა-რა აგრეთვე სცენაზედ ახლად გამოსულს ქ-ნს გვარამაძისას. დასასრულ პატარა დივერტისმენტი იყო გამართული, რომელშიაც ხალხი აღტაცებაში მოიყვანა გიტარაზედ სიმღერით ნ. ე. დემჩინსკაიამ. ქ-ნ დემჩინსკაიას მშვენიერი ტკბილი ხმა აქვს და კარგათაცა ჰმღერის, ბ-ნმა ადამიძემ წაიკითხა რამდენიმე ლექსი. საზოგადოებამ დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვა ორივე და რამდენჯერმე გაამეორებინა. წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით იყო გამართული და ამიტომ დიდის მადლობის ღირსნი არიან როგორც მოთამაშენი, აგრეთვე ყველა ისინი, ვინც ასე თუ ისე ხელი შეუწყო წარმოდგენის გამართვას და მათ შორის განსაკუთრებით, ქ-ნი ა. გვარამაძისა, რომელმაც ბევრი ბილეთი გაჰყიდა და სხვაფრივაც დაეხმარა ამ საქმეს. სრული შემოსავალი ხარჯით ხუთ თუმნამდე იყო, რაიცა დანიშნულებისამებრ გარდაეცა. კარგი იქმნება, ჩვენმა სცენის მოყვარეებმა ამითი არ დაასრულონ საქმე და შემდეგშიაც გაჰმართონ ხოლმე წარმოდგენები.

*** სოფ. ჩრნთო, (შორაპნის მაზრა). 8 აგვისტოს აქ ერთი ფრიად საზიზღარი მკვლელობა მოხდა. დილის შვიდ საათზედ ამ სოფლის მღვდელს ლუკა მაქსიმეს ძეს ტყემალაძეს თავს დაესხა ოთხი თავით ფეხებამდე შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი. სახლში დახვდა მარტო მღვდელი თავისის მეუღლით. შესვლისათანავე მღვდელი მოჰკლეს და ქალს ფულის თხოვნა დაუწყეს. შიშისა და მწუხარებისაგან თავდავიწყებამდის მიყვანილმა ქალმა წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ბოროტ-მომქმედთ ისიც დასჭრეს და მერე თავისუფლად შეუდგნენ სახლის ჩხრეკას. წაიღეს ყველაფერი, რაც კი ჰნახეს და რის წაღებაც შესაძლებელი იყო და შემდეგ გაიქცნენ. მალე მთელს სოფელს მოედო ეს შემაძრწუნებელი ამბავი. ყველამ თავი დაანება საქმეს და გაეშურა ყველასაგან პატივცემულისა და დიდად საყვარელ მღვდლის სახლისაკენ მისაშველებლად. მაგრამ გვიანღა იყო: მღვდელი უსულოდ დახვდათ, მისი მეუღლე-კი გულ შემოყრილი იყო და ოჯახი გაძარცული. პატარა ბავშვები შემოხვევოდნენ დედ-მამას და გულ-შესაზარად გასწიოდნენ. მღვდელი ლუკა ტყემალაძე იმ კაცთაგანი იყო, რომელთაც კარგად ესმით ადამიანის დანიშნულება და მოვალეობა ამ ქვეყნად. მას ესმოდა, რა დიდი მოვალეობა მიიღო თავის თავზე, როდესაც მღვდლად ეკურთხა, ცდილობდა ყოვლის ღონის ძიებით ნამდვილი მამა და მოძღვარი ყოფილიყო თავისის სამწყსოსი. თავისი მამა-შვილურის გაწყობილებით მრევლთან მან დიდი სიყვარული და პატივის ცემა დაიმსახურა. გაჰმართა აფთიაქი და სკოლის დაარსებასაც აპირებდა, მაგრამ ადამიანთა უსამართლობამ უდროოდ გამოასალმა საბრალო ამა სოფელს.

განსვენებულს დარჩა ექვსი მცირე წლოვანი შვილი—ხუთი ვაჟი და ერთი ქალი, რომელთაგანაც უფროსი ვაჟი სწავლობს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო დანარჩენები სულ პატარები არიან. ადვილად წარმოსადგენია, რა უკიდურესს მდგომარეობაში ჩავარდა საბრალო ოჯახი ამ საზიზღარის შემთხვევის გამო. მღვდელს ფულად არაფერი დარჩენია, ადგილ-მამული კი დარჩა ცოტაოდენი, მაგრამ მისი უმწეოდ დატოვებულ ოჯახისათვის ესეც გამოუსადეგარია, რადგანაც მომვლელი არავინა ჰყავს.

*** გამოვიდა და უკვე დაურიგდა ხელის-მომწერელთ საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილი“-ს ივლისისა და აგვისტოს ნომრები შემდეგის შინაარსისა:

ძაღლი და თაგვი ლექსი—შ. მღვიმელისა; ობოლი (გადმოკეთებული) მოთხრობა—ვანოსი; მერცხლების ბუდე (ფრანგულიდან)—ვანოსი; თიკანი და მგელი (ეზოპიდან) ლექსი—ბ. დავითაშვილისა; პატარა ლორდის თავ-გადასავალი, თარგმანი—ე—კოსი; გველების ამბავი (თარგმანი)—კოტესი; უნუგეშო დედა, ლექსი—კ. ნინო ორბელიანისა; გაგონილი ზღაპარი—იულია კალატოზოვისა; პირუტყვთა ჭკუა-გონება თ. კანდელაკისა; საკვირველებანი ბუნებისა—ლ. აღნიაშვილისა; ძველი ჭკურ-მარილი ვის ახსოვს—ბესარიონისა; მიხაკო—ლიდიასი; აზრიანი გლეხი—ალ. მირიანაშვილისა; სამეცნიერო გასართობი—ბორასი; წვრილმანი;

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ბახმარო**, 7 აგვისტო. ამ ბოლო დროს ბახმაროს მეაგარაკენი ძალიან დააფთხო ერთის მხრივ მოუსვენარმა წვიმებმა და მეორეს მხრივ თავგასულმა კითომ-და წესიერების დამცველად დაყენებულმა დარაჯებმა. იმათმა თავგასულობამ იმ ზომამდის მიაღწია, რომ 4 აგვისტოს საღამოს ერთს აჭარულ მეაგარაკეს თოფიც ესროლეს ღამე. კიდევ კარგი, რომ საბრალო ცოლ-შვილის პატრონს ტყვია ასცდა. აი საქმე როგორ იყო: მეაგარაკე მელიტონ ზერიძეს ცხენი ჰყავდა გაშვებული საბალახოდ, მოიპარეს და ნაძვნარში დააბეს. ალბად იმ ღამეს გაასაღებდნენ, მაგრამ ზერიძემ ცხენი ნახა ნაძვნარში მიბმული, მოიყვანა და ეჭვიც აჭარულ წესიერების დამცველ დარაჯზე მიიტანა. ეს როგორ გაიგეს, დაემუქრა თათარი და საღამოს საბრალო კინაღამ მსხვერპლად გაიხადა. დარაჯები უკეთ თავისუფალ დროს (უმეტეს ნაწილად კი საბალახოებზედ დათარეშობენ თავისის ამქრებით ქობულეთელ აჭარლებით) აჭარულ დუქნებში დროს ატარებენ, ქეიფობენ და ერთს ალიაქოთს აყენებენ, ხან ერთს შეუვარდებიან დუქანში და ხან მეორეს და გამვლელ-გამომვლელს საშინლად აფრთხობენ. თუ რამე წამოგცდათ მათ წინააღმდეგ—კაი თქვენი ბრალი.

5 აგვისტოს ასკანის მამასახლისს ს. მჟავიშვილს, რომლის საზოგადოებასაც ეკუთვნის ბახმაროს აგარაკი, დარაჯებმა მოუყვანეს ორი თათარი, იმ ადგილას შეპყრობილი, სადაც ორიოდე დღის წინად ოთხი ცხენი დაიკარგა. მამასახლისმა გამოჰკითხა და

---

მათხოვარი, რომელიც სოსეს ჰკითხულობდა თურმე.

გულკეთილმა და სტუმართ-მოყვარე გაბრიელმა სთხოვა შინ შემოსულს გლახაკს ჯირკვზედ დაჯდომა. გლახაკი დაჯდა და ღრმა ფიქრებს მიეცა.

— გმადლობთ, ნათლიავ სოსე, რომ ჩემთვის კაი გსურს, ჩემთვის ეხლა ნუგეშია საჭირო და მეგობრის რჩევა. ხომ გაგიგონია: „სხვამან სხვისი უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“-ო. ორჯელ ომში დავიჭერ, ორჯელვე გადავრჩი... მესამედ კიდევ საზარლად დამჭრეს მაშინ, როდესაც შაჰ-აბაზი საქართველოს შემოესია და მეფედ ბაგრატ-მირზა დასვა, ის ბაგრატი, რომლის კარის კაცები დღეს უღვთოდ თარეშობენ ქართლში. ვინ დამღუპა მე, თუ არა იმისმა კარის კაცებმა?! თვით კარგად იცი, მუშაობა არ შემიძლიან და ვგდივარ ლოგინში ხელ-გაუნძრევლად. ჯერ ჩემი ასეთი ყოფა მაღონებს და მერე ნატოს უბედურება! ნუ თუ ამ დღისთვის გავჩნდი?! დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი! სთქვა გულამოსკვნით გაბრიელმა.

— გლეხიკაცი ცუდს ვარსკვლავზედ არის დაბადებული, მაგრამ „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო“, ნათქვამია... სთქვა სოსემ.

— გლეხი უბედურია. საცოდავს სწორედ ქათმის საქმე მოსდის. ქათამი სჩიოდა: ძროხა დაკლეს, ზედ წამაკლეს, ცხვარი დაკლეს, ზედ წამაკლეს, ხარი დაკლეს, ზედ წამაკლეს, ბატი დაკლეს, ზედ წამაკლეს, არ დაკლეს და მაინც დამკლესო. თუ ღმერთი გწამს, ასე არ არის ჩვენი საქმეცა?!

გიჟის მომრჩენი ექიმი არავინ გეგულება სოსე?!

— მეტი ნუ მორჩეს ბაგრატ-მირზას თავი, რაც ეგ აღარ მორჩეს. შენ ნუ მოასწრებ მას თავის ქალის ლელოს გვირგვინსა, შავად ჩაატარე მისი სიცოცხლე, ისე... როგორც იმან...

— სუ, ქალო, ღმერთს ნუ ჰგმობ, თქვენი ხელობა წყევლაა. გააჩუმა გაბრიელმა. ბაგრატ-მირზამ რა ჰქნას: ის ჰზის თავისთვის სახლში და ხალხის ავისა და კარგის არა გაეგება-რა ხალხს სტანჯავენ უფრო მისი უნამუსო მოხელეები. ბაგრატი ქვევრია და რასაც მოხელეები ჩასძახებენ, იმას ამოსძახებს; ტიკინია რომელსაც კარის-კაცები ისე ათამაშებენ, როგორც თითონა სურთ. შენი წყევლით, დედა-კაცო, არა გამოვა რა: სიმართლე თავისას გაიტანს და, დღეს თუ არა, ხვალ პასუხს მოსთხოვს თავისს მოწინააღმდეგესა.

ელენე გაჩუმდა, რაღაცის დუდუნი დაიწყო და ბოლოს გარეთ გავიდა.

— ნათლი მამ, იმ ბაგრატზედ გამახსენდა... იმის სახლში თურმე ერთი მოლა სცხოვრობს, რომელსაც მაჰმადს ეძახიან. ამბობენ, გიჟებს არჩენსო. მოვიყვანოთ ე ჩვენი ნათლულითვინა...

— მოლასი არა მინდა-რა, შენი კვნესამე!

— მობრძანდი, შენი მუხლის ჭირიმე! გაისმა გარეთ ელენეს ხმა.

— რა შვრება გაბრიელი? ჰკითხა მოსულმა.

— ცუდად გახლავთ.

გაბრიელმა და სოსემ ხმაზედ იცნეს მოძღვარი პეტრე. სოსე და გლახაკი გაეგებნენ პატივცემულს მოძღვარს, რომლის ერთი შეხედვა ძვირფასად უღირდა ყოველს ბედით დაჩაგრულს კაცს.

IV

სამის წამის შემდეგ შინ შემოვიდა მამა პეტრე, რომლის სახეზედ მწუხარების დამხატველი სუსტი ღიმილი ჰკრთოდა. ლოგინზედ მწოლარე გაბრიელს მოძღვარმა ხელზედ ამთხვევინა. ბოძზედ მიბმულმა ნატომ თითქოს იგრძნო გულ-კეთილის მოძღვრის მოსვლა და ჩააცქერდა თვალებში. მოძღვარი კარგა ხანს უცქეროდა სიბრალულით შესაბრალებელს ნატოს. ისე გაიტაცა გაბრიელი მოძღვრის დანახვით აღძრულმა სიხარულმა, რომ თავისი ტანჯვა დაავიწყდა და მხიარული სახე მიიღო. ასეთი დიადი გავლენა აქვს ადამიანს, ქრისტიანობრივის სიყვარულით გამსჭვალულსა. როგორც მზის სხივები მოჰფენენ მადლს და სიცოცხლეს ზამთრისაგან შეწუხებულს ბუნებას, ისე ასეთი ადამიანი თვისის საიდუმლო უხილავის მადლით შავ ბედისაგან დაჩაგრულს კაცს გულს გაუმხიარულებს და სულს დაუტკბობს. ნატოც გაშტერებით შეცქეროდა მოძღვარს და თითქოს მეხსიერება უბრუნდებოდა... დაიწყო თავის მარჯვენა ფეხზედ ცქერა, რომლის ზედა-პირის ჭრილობის კვალი ზოლსავით აჩნდა. საქმე იმაშია, რომ იმ ერთის წლის წინად ნატომ ცულით ფეხი მოიჭრა და მამა პეტრემ მოარჩინა. ამ კეთილ-მოქმედებამ ისე იმოქმედა ნატოზედ, რომ იგი მამა პეტრეს ფეხის მორჩენის შემდეგ ისე უყურებდა, როგორც ღმერთ-შემოსილს, სასწაულთ მომქმედს კაცსა. არათუ მარტო ნატო, მთელი ქართლი ასე უცქეროდა პატივცემულს მოძღვარს, რომელსაც მშვენივრად ჰქონდა შესწავლილი მაშინდელი საექიმო მეცნიერება ბერძნულსა, სპარსულსა, არაბულსა, ლათინურსა და ქართულს ენებზედ; თვით ამზადებდა წამლებსა და უსასყიდლოდ ურიგებდა ხალხს. ერთი მისი შეხედვა ხშირად ავადმყოფს ზეზედ წამოაყენებდა ხოლმე. ნატომ გულით შეიყვარა მოძღვარი და დღეს, თუმცა ჭკუაშეშლილი იყო, მაგრამ მაინც მიხვდა, რამდენადაც შეეძლო, რომ სახლში შემოვიდა მისი კეთილის მყოფელი მოძღვარი, რომლის დანახვის შემდეგ მარჯვენა ხელის სალოკს თითს—ფეხზედ იდებდა, სწორედ იმ ადგილს, სადაც ჭრილობის კვალი ემჩნევოდა.

— მიცანი, შვილო? ჰკითხა ღმობიერის ხმით მოძღვარმა ნატოს...

— ფეხი... ფეხი... სთქვა ნატომ.

— მოძღვრისთვის ეს საკმაო იყო, რომ ცოტად მაინც დაიმედებულიყო ნატოს მორჩენაზედ.

რადგან თათრებმა თავი იმართლეს, ვითომც ხარების საძებნრად კიყავითო, მამასახლისმა უთხრა: „ამაღამ გვიანია, აქ დარჩით ჩემს დარაჯთან და ხვალ დილით მეც წამოვალ, გავიგებ ყოველსავე და თუ მართალი გამოდგებით, განგათავისუფლებთო". თათრები დარაჯებს მიაბარა. საიდგანაც იყო გამოვარდნენ აქაური თათრები, ეცნენ სოფლის დარაჯებს, გამოსტაცეს ხელიდგან თათრები და როცა მამასახლისმა დაუძახა, დასტოვეთ, ნუ მიგყავთ თათრებიო, დარაჯებმა დაუყვირეს: „მოდით და თუ კაი გული გაქვს, წაიყვანეო". დარაჯებმა ის თათრები მგონი მაზრის უფროსთან მიიყვანეს (მაზრის უფროსიც აქა ბრძანდება სააგარაკოდ) და იმან რა განკარგულება ინება, არ ვიცით, მხოლოდ ეს დავინახეთ, რომ დარაჯსთან მიჰყავდა ის თათრები. შემდეგ მამასახლისიც ავიდა მაზრის უფროსთან ამ საქმის მოსახსენებლად. მხოლოდ ეს ვიცით, რომ ის თათრები ისევ დარაჯებს მიაბარეს და ღამით დარაჯებმა გამოსტაცეს და გააქციეს. იმავე საღამოს ერთი დარაჯთაგანი მამასახლისს მიუხდა ღამით და დაემუქრა, როგორ გაბედე ჩვენის თათრების დაჭერაო.

აი, ასეთს გარემოებაში ვართ ჩაცვივნული ამ თავგასულ დარაჯების გამო და მშველელი-კი არსად არის. საგარაკოდ მოვდივართ დასუსტებულის ჯანის გასამაგრებლად, მაგრამ აქაურის დარაჯების შიშმა უმეტესად დაგვასუსტა.

ეხლა ცოტა გამოიდარა. ბევრს უნდოდა აგვისტოს 25-მდე დარჩენა, მაგრამ აქაურის დარაჯების შიშით წავიდ-წამოვიდნენ.

დამწრე მეაგარაკე

## რუსეთი

შემდეგი ექიმთა საერთაშორისო მე-XIII კრება 1900 წ. მოხდება პარიზში.

— სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ნება დაურთავს სამი ათასი ბოთლი „ნარზან"-ის ღვინო გაეგზავნოს ექიმთა საერთაშორისო მე-XII კრების წევრთ.

— სახელმწიფო ბანკის მთავარს სამმართველოს საზღვარ-გარედ სპეციალური კომისია გაუგზავნია, რომ ავსტრ უნგრეთში ფულის ცვლილებათა მიმდინარეობა გაიცნოს.

— ამას იქით პატიმართ ნიჟნი-ნოვგოროდის გზით აღარ გაჰგზავნიან. მომავალის წლის გაზაფხულიდგან ციმბირში და მადნებში სამუშაოდ გაგზავნილთ მოსკოვიდგან გაჰგზავნიან რკინის გზით და გაატარებენ პენზასა, რიაჟსკსა, რიაზანსა, სამარასა, უფასა და ჩელიაბინსკზედ.

— სექტემბერში პეტერბურგში რუსეთის რკინის გზათა წარმომადგენლების კრება მოხდება, რომელიც საგზაო გარდასახადთა საქმეს განიხილავს.

— დოქტორს ფ. მ. ბლიუმენტალს ნებართვა მიუღია, რომ მოსკოვში პირველი კერძო საქიმიკო-საბაქტეოროლოგიო ინსტიტუტი დააარსოს.

— ექიმთა საერთაშორისო მე-XII კრებაზედ დასასწრებლად მოსკოვში ჩამოვიდა, სხვათა შორის, საფრანგეთის გამოჩენილ სწავლულის დოქტ. შარკოს შვილი.

— ტულის მომავალ სასოფლო-სამეურნეო და შინა მრეწველობის გამოფენისათვის მრავალი ექსპონატები მოდის შინა ხელოსანთაგან. ერთს გლეხს სოფ. ვერხოუნის, ბოგოროდიცკის მაზრის მცხოვრებს, გვარად უტკინს ხისაგან გაკეთებული ველოსიპედი გაუგზავნია, რომელიც სულ 35 გირვანქას თურმე იწონს. სხვა გლეხებსაც წარუდგენიათ მრავალი ნაწარმოები: მანქანები, საქსოვი იარაღი, ვერცხლეული და სხ.

— ნიჟნი-ნოვგოროდში ვაჭრობა ცოცხლად მიდის. ციმბირელები ხანკოუს ჩაით ვაჭრობენ. უმაღლეს და უმდაბლეს ხარისხის ჩაიში ნაკლულევანებასა ჰგრძნობენ. კიახტის ჩაი მხოლოდ ერთი მესამედი დარჩა გაუსყიდველი. შაქრის ფასი არ შეცვლილა. დაფურცლულს რკინას ძალიან ჰყიდულობენ. სტროგანოვის ქარხნის რკინა ამ ფასებში იყიდება: პირველის №№ ისა და ხარისხის დაფურცლული რკინა ფუთი 2 მან. და 85 კ. იყიდება, —ფუთში 14-დგან 22 ფურცელია; ფუთი—23—24 ფურცელი – 2 მან. და 90 კაპ. იყიდება; 30 ფურცლიანი უფრო თხელი რკინა, ფუთი 3 მან. და 10 კ. იყიდება; კლენოვსკის ქარხნის რკინა ფუთი 2 მან. და 90 კაპ. ფასობს, მტრედის ფერი—2 მან. და 75 კ.; კლენოვსკისა, ოჩერსკისა და ლობრიანსკის ქარხნების რკინა ფუთი 2 მან. 70 კაპ. იყიდება; მქრალი, ვერცხლის ფერი რკინა იმავე ქარხნებისა 2 მან. და 65 კ. ფასობს; თუთიათი დასაფერი რკინა ოჩერსკის ქარხნისა, ფუთი 18—22 ფურცლიანი 2 მან. და 85 კაპ. იყიდება, 23—24 ფურცლიანი—2 მან. 90 კ., 25 ფურცლიანი 2 მან. და 95 კაპ. ფასობს; ოჩერსკის ქარხნის შავი თუნუქი კალითა, თუთიათი და ტყვიით დასაფერი, 19—27 ფურცლიანი, ფუთი 3 მან. 5 კაპ. იყიდება, 27—29 ფურცლიანი—3 მან. და 15 კაპ. ფასობს და 36 ფურცლიანი—3 მან. და 10 კაპ.; ოჩერსკის ქარხნის ბზიალა რკინა 2 მან. და 60 კ. ფასობს; ლობრიანსკის ქარხნის შავი ფურცლიანი რკინა ფუთი 2 მან. და 50 კ. იყიდება, წითელი—2 მან 40 კ.; თუჯის ფასმა ამ ბოლოს დღეებში ფუთზედ 5 კაპ. იმატა. მდინარეების სითხელე რკინის გაგზავნას აბრკოლებს; სპილენძი დემიდოვის ქარხნისა ფუთი 13 მან. და 25 კაპ. ფასობს, კავკასიისა — 11 მან. და 50 კაპ.; საწყეპლე კალა 11 მან. 50 კ. ფასობს, ტყვია —2 მან. და 35 კაპ.; ზარები ფუთი 16 მ. იყიდება; სამოვრები 16—24 მან. ფასობს. ჯარის-კაცების მაუდი ისე კარგად ვერ იყიდება, როგორც შარშან და არშინი 5—8 კაპ. იაფად იყიდება; ჯარის-კაცთა ლურჯი მაუდი 52—56 კაპ. ნაკლება ფასობს, შავი—50—56 კაპ. ნაკლებ, უფრო მაღალის ხარისხის მაუდი 65—70 კაპ. ნაკლება ფასობს არშინი. მატყლი ჯერ არ უყიდნიათ, ფასები ჯერ არ გამორკვეულა.

## უცხოეთი

**საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს-ფორი.** დღეს, როდესაც მთელის რუსეთის ერი დიდის აღტაცებითა და პატივის-ცემით ეგებება საფრანგეთის პრეზიდენტს ფელიქს-ფორს, მეტი არ იქნება გავაცნოთ მკითხველებს ეს ევროპის მოწინავე სახელმწიფოს წარმომადგენელი და მოკლედ ვუამბოთ იმისი წარსული. აწინდელი პრეზიდენტი საფრანგეთისა ფრანსუა-ფელიქს-ფორი დაიბადა პარიზში 30 იანვარს 1841 წ., მაშასადამე ამ ჟამად იგი 56 წლისაა. იმისი მამა ჯერ პროვინციაში სცხოვრობდა და შემდეგ სატახტო ქალაქ პარიზში დასახლდა და დურგლობა და ავეჯეულობის ხელოსნობა დაიწყო. როდესაც ცოლი შეირთო, თავისის სიმამრის დახმარებით მან საკუთარი სახელოსნო დაიარსა სენ-დენის ნაწილის ერთს ქუჩაში, სადაც დაიბადა საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტი. ახალგაზდა ფორი ჯერ პარიჟის ერთს სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, ხოლო შემდეგ მამამ ბოვის საკომერციო სასწავლებელში მიაბარა. აქ ფორმა ოთხი წელიწადი დაჰყო და 1856 წელს მამამ ხელ-ახლა პარიჟში გადაიყვანა და იქაც ამისთანავე სასწავლებელში მიაბარა, სადაც აგრეთვე ოთხი წელიწადი იყო. 1859 წელს, სწავლის შემდეგ, მომავალი პრეზიდენტი ტყავების ქარხანაში შევიდა და ორი წელიწადი უბრალო მუშად იყო. ფორი ეხლაც ამაყობს ამ გარემოებით და ეხლანდელს თავისს სავაჭრო კანტორაში მაშინდელი სურათიც-კი აქვს ჩამოკიდებული. ამ სურათში ფორს ტყავის ტანისამოსი და ხის ფეხსაცმელი აცვია და წინ ტყავის წინსაფარი აქვს ჩამოკიდებული. შემდეგ ფორი ამბუაზიაში გადავიდა, სადაც ტყავების წარმოების შესწავლას შეუდგა. აქ მან გაიცნო ქალაქის მოურავის ახალგაზდა ქალიშვილი, საშინლად მოეწონა იგი და მოინდომა მისი შერთვა, მაგრამ თუმცა ქალი თანახმა იყო, დედ-მამამ უარი უთხრა, ჩვენს ქალს უბრალო მუშას არ მივათხოვებთო, ამისდამიუხედავად, ფორს გული არ გასტეხია. იგი ჰავრში წავიდა ფულისა და სახელის შესაძენად, რომ შემდეგ ქალის დედ-მამას უარი აღარ ეთქვათ. იქ ფორი ჯერ ერთს ტყავების მოვაჭრესთან შევიდა ნოქრად და შემდეგ სავაჭრო საამხანაგო ფირმა დააარსა „ფან-გუტენის და ფორის" სახელით. ვაჭრობა კარგად მიდიოდა, მაგრამ საქმე რომ უფრო უკეთესად მოეწყო, ფორმა სავაჭროების გასავრცელებლად და მუშტრის მოსაპოვებლად ინგლისსა და გერმანიაში დაიწყო მოგზაურობა. სწორედ ამავე დროს გერმანიის მთავრობამ იგი თავისს ელჩად დანიშნა ჰავრში და ამ რიგად ფულთან ერთად სახელიც შეიძინა ახალგაზდა მოვაჭრემ. ეხლა-კი თამამად მოვიდა ფორი თავისს სატრფოს დედ მამასთან და იმათაც თანხმობა განაცხადეს. ფელიქს ფორის ცოლი განათლებული, წარმოსადეგი და მეტად მხნე ქალია. აწინდელ პრეზიდენტს ორის ქალის მეტი სხვა შვილები არა ჰყოლია: ერთი მათგანი უმცროსი, ინჟენერ რენე ბერჟესა ჰყავს ცოლად, ხოლო უფროსი—ლიუსი—ჯერ გაუთხოვარია და მამასთანა სცხოვრობს.

ცოლი რომ შეირთო ფელიქს ფორმა, იმისი ვაჭრობის საქმე ერთი ორად და სამად უკვე წავიდა. იგი განსაკუთრებით ტყავებით ჰვაჭრობდა და მრეწველობისა და ვაჭრობის მდგომარეობის გასაცნობად მან სხვადა-სხვა ქვეყნებში დაიწყო მოგზაურობა.

1861 წ. იგი რუსეთსა და კავკასიაში იყო და საშინლადაც მოეწონა ეს ქვეყნები. განსაკუთრებით კავკასიის ბუნების და ჰავისაგან აღტაცებაში იყო მოსული, მაგრამ ამასთანავე მეტად განცვიფრდა, რომ ასეთ ბუნებით მდიდარის ქვეყნით შესაფერად ვერ სარგებლობენ და ფულს ვერ იღებენო. აი, სხვათა შორის, რასა სწერდა ფორი კავკასიის შესახებ: „საკვირველია, რომ გერმანელები, შვეიცარიელები და

---

— ნატოს მე მოვარჩენ ღვთის შემწეობით. გთხოვ, სნეული ურმით ბოლნისს გამომიგზავნო, კვლავ ამ დროს ჯვარის საწერად მზად იქნება, ღვთით.

— ფეხიო... ჩაილაპარაკა ნატომ თავისთვის.

გაბრიელმა, იმისმა ცოლმა, სოსემ და გლახაკმაც-კი მადლობის ცრემლები დაჰღვარეს და ვერა უთხრეს-რა მოძღვარს: სიხარულით ენა დაებათ. თვით იმათი ცრემლები სიტყვაზედ ცხადად და ნათლად ღაღადებდა იმ განუსაზღვრელს გრძნობას მადლობისას, რომელიც მათს გულში აღძრა მოძღვრის სანუგეშო სიტყვებმა. გაბრიელი ტკბილს თავდავიწყებას მიეცა. აღარ ახსოვდა თავისი წარსული, არც აწინდელი თვისი გაჭირვებული მდგომარეობა, და მთელი მისი არსება მოცული იყო რაღაც გამოურკვეველის სიამოვნებით.

— მაჩვენე, შვილო, ჭრილობა, მიუბრუნდა მოძღვარი გაბრიელს— გაბრიელის ჭრილობა მართლაც გაძნელებული იყო ცრუ ექიმბაშების წამლობით. მოძღვარმა წამალი დაადო გაბრიელს ჭრილობაზედ და წმინდა სახვევით მაგრად შეუხვია.

— ორის კვირის შემდეგ მოგირჩება.

— მაღალი ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროსა, ტანჯულების მამაო!

— მადლი იესო ქრისტესი იყოს თქვენს ოჯახზედ! სთქვა მოძღვარმა და წასვლა დააპირა: ხვალ ნატო გამოგზავნეთ ბოლნისში. მოძღვარმა ჯვარი გადასახა ნატოს, რომელმაც გაიღიმა და კვლავ ფეხზედ დაიხედა, და წავიდა. გლახაკი მწარედ ოხრავდა, თავს აქეთ-იქით იქნევდა და ხან-და-ხან თავშალით თვალებზედ ცრემლებს იწმენდდა. სოსემ და ელენემ მოძღვარი გააცილეს და შინ დაბრუნდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ყველამ ივახშმა. სოსე გაბრიელს გამოეთხოვა შინ წასვლის წინ და უთხრა: „თუ დაგჭირდეს რამე დამიძახე, არ დაგზარდებიო".

### V

სოფლად ძაღლების ყეფა გაისმოდა, ცის მოწმენდილი კამარა ვარსკვლავებით იჭედებოდა, რომელნიც ცელქურის ციმციმით მთვარის გარშემო დარბოდნენ. მთვარე, ეს გუშაგი ღამისა, ამაყად დასცურავდა ცის სივრცეზედ ვარსკვლავთა შორის და ნაზის ღიმილით დასცქეროდა დედა-მიწას, თითქოს ტკბილის მოსვენების ტკბილს ნანას უმღერდა. ღამე იყო ისეთი წყნარი, რომ სუსტი ნიავიც-კი არ იძროდა. შორს, შორს დევ-გმირებივით აღმართული კავკასიონის მთები მოსჩანდა სპეტაკის გვირგვინით და საოცნებოდ ლაპლაპებდა მთვარის მკრთალს შუქზედ.

კაი ხანია, რაც გაბრიელის ცოლშვილი მიეცა ტკბილს ძილსა. თვით გაბრიელს-კი სიხართლით აღარ ეძინება. მისი გული აჩქარებითა სძგერს, აღვსილი მოსალოდნელის ბედნიერების გრძნობით. ასე გასინჯეთ, უწინ ძილ-გაფრთხობილს ნატოს ამაღამ ტკბილად სძინავს, გლახაკი? ის თავისს სურვილისამებრ სათორნეში დაწვა. არ დაეძინა და სახლის ბანზედ ავიდა, იგი აღელვებული იყო რაღაც საიდუმლო მწუხარებით. გაშტერებით შესცქეროდა გლახაკი ნაზს, მაღლით სავსე მთვარესს, თითქოს ჰსურდა იმისს წიაღში ამოეკითხა თვისი მომავალი ბედისწერა; ხან ოხრავდა, ხან კვნესოდა, ხან ქვითინებდა. ნეტავ რა იყო მიზეზი მისის სულის ასეთის საშინელის მდგომარეობისა?! ეს თვით გლახაკმა იცოდა, იმის გულის სიღრმეში იყო ჩამარხული მიზეზი მისი ტანჯვებისა. არ იცოდა ეს მიზეზი არც ნაზმა მთვარემ, არც ცელქმა ვარსკვლავებმა და არც ამაყად გადმომცქერალმა კავკასიონის მთებმა. ვინ იცის, იქნება იმას გულზედ მძიმე ლოდსავით დასწოლოდა ცოდვები და სინიდისი, ეს შეუბრალებელი მსაჯული ამხილებდა და უთუთქავდა გულს?! ან იქნება დასტიროდა თავისს გლახაკობას, უშემწეობას, უბედობას, დასტიროდა და ცით ელოდდა რაიმე ნუგეშს?! იქნება დაჰკარგოდა სატრფო გულისა, თვისი ძვირფასი თაიგული, თვისი სწორი, დაჰკარგოდა სამუდამოდ და დღეს გულ გატეხილი, იმედ-მიხდილი დაეხეტებოდა სოფლიდგან სოფლად და ელოდდა დღითი დღე სიკვდილსა სიკვდილისაგან დავიწყებული?! იქნება კიდეც ჰნატრობდა სიკვდილს, მაგრამ იგი არ მოდიოდა?! არავინ არა იცოდა რა იმისი ავ-კარგი, მხოლოდ გლახაკი ხან და ხან იძახოდა: „უბედური ვარ, უბედურიო!".

აგერა კიდევაც ჩაესვენა მთვარე. მამლებმა ხმა მაღლა იწყეს ყივილი. ცაზედ ცისკარი გამოჩნდა, ეს წინამორბედი მზისა, შიკრიკი განთიადისა. ირაჟრაჟა. სოფლელებმა მოძრაობა და ხმაურობა დაიწყეს. გლახაკიც დაადგა გზასა და წავიდა ტფილისისკენ. დილას ელენემ ბევრი ათვალიერა გლახაკი, მაგრამ მისის ასავალ-დასავლისა ვერა გაიგო-რა. გაბრიელი და ელენე ორივენი სახტად დარჩნენ გლახაკის ასეთის უცნაურის გაპარვით.

ფარი

(შემდეგი იქნება)

ფრანგები ფულის საშოვნელად ამერიკაში გარბიან, სადაც სიღარიბის მეტი არაფერი მოელით და კავკასიას-კი ყურადღებას არ აქცევენ, იმისდა მიუხედავად, რომ ბუნების სიმდიდრით ამ ქვეყანას არც ერთი კუთხე არ შეედრებაო". სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფორმა რამდენიმე წიგნი გამოსცა სხვა-და-სხვა ქვეყანაში ვაჭრობისა და მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

პრუსიისა და საფრანგეთ შორის ომის დროს ფელიქს ფორი თავისუფალ მეომრად შევიდა და მალე თავისს მამაცობისა და ვაჟკაცობის წყალობით ჯარის უფროსობა და საპატიო ლეგიონის ორდენი მიიღო. ამავე დროს იგი გამბეტას მინდობილებით აუარებელს იარაღსა და ტანისამოსს ჰყიდულობდა ინგლისში და ჯარის-კაცებისთვის მოჰქონდა საფრანგეთში. ასეთის თავ-განწირულის მეცადინეობის წყალობით ფორმა ჰავრელების სიყვარული და პატივის ცემა მალე დაიმსახურა. ფელიქს ფორი უკვე ორმოცის წლისა იყო, როდესაც ჰავრელებმა თავიანთ წარმომადგენლად აირჩიეს პარლამენტში. შემდეგ გამბეტამ ვაჭრობის მინისტრის ამხანაგად დანიშნა და კაზიმირ პერიეს მინისტრობის დროს-კი საზღვაო მინისტრობა მიიღო, ბოლოს დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას ასრულებდა. ყველა ამ თანამდებობის დროს ფელიქს ფორმა სამაგალითო მხნეობა, საქმის დაკვირვება და მუყაითობა გამოიჩინა. განსაკუთრებით იგი ვაჭრობისა და მუშათა საქმეებს აქცევდა ყურადღებას და აუარებელი პროექტები წარუდგინა ამ საგნების შესახებ პარლამენტში. 1893 წელს, 14 ნოემბერს, ფორმა ზღვათა მინისტრობას თავი დაანება და ოთხის დღის შემდეგ-კი, როდესაც კაზიმირ პერიემ აღარ ინდომა პრეზიდენტობა, მთელი სახელმწიფოს პრეზიდენტად იქმნა არჩეული. პრეზიდენტობის დროს ფელიქს ფორმა მთელის საფრანგეთის ერის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ყველგან, სადაც პრეზიდენტი ყოფილა, ხალხი აღტაცებით და სიხარულით ეგებება ხოლმე. ამას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ ფორი მეტად უბრალო კაცია და უკანასკნელ მუშასთანაც ისე უჭირავს თავი, თითქოს იმისი ტოლი და სწორი იყოს. ამბუაზში სიხარულით მიეგება და ჩამოართვა ხელი ერთს მუშას, რომელთანაც ერთად ახალგაზდობას ტყავების მკეთებელ ქარხანაში უმუშავნია. თავისის ერის სიყვარულთან ერთად ფელიქს ფორმა უცხო სახელმწიფოთა მეფეებისა და წარმომადგენლების სიყვარულიც დაიმსახურა. იგი, როგორც კაცი, ყველას მოსწონს და უყვარს. გარეგნობით ფორი მაღალის ტანისა და მეტად წამოსადეგი კაცია. ამისი მშვენიერი სახე და არისტოკრატული მიხვრა-მოხვრა ყველას ერთნაირად იზიდავს და ნება უნებურად პატივსა და სიყვარულს აგრძნობინებს ადამიანს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 აგვისტო

**პეტერბურგი.** აურიცხველმა ხალხმა თითქმის გათენებიდგანვე აავსო ქუჩები, რომელზედაც უნდა გაევლო დიდებულს სტუმარს ხელმწიფისასა და მთელის რუსეთისას—საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ფორს. მდინარე ნევას რიყეზედ, საიმპერატორო ნავთსადგურის პირდაპირ, გამწკრივებული იყო საპატიო დარაჯი მე-185 ნოვოჩერკასკის ალექსანდრე მე-III სახელობის რაზმისაგან დროშებითა და სამუსიკო ხოროთი; მარჯვნივ მხარეს ჯარის უფროსები იდგნენ; ნავთსადგურის მარჯვნივ გამწკრივდნენ ურალის ჯარის-კაცნი მაყვლის ფერ მუნდირებითა და უშველებელის ფაფახებით. ნავთსადგურის წინ ლუზაზედ შედგა ლამაზად მორთული და დროშებით შემკული საფრანგეთის გემი „სიურკუფი". ნევა მთლად დაეფარა მშვენივრად მორთულს გემებს. ნავთსადგურზედ შეიკრიბნენ პრეზიდენტ ფორის მისაგებებლად: ქალაქის თვით მართველობის დეპუტაცია, რომელსაც წინ უძღვა ქალაქის მოურავი რატკოვ-როჟნოვი, პეტერბურგის ქალაქის უფროსი, გუბერნატორი, კომენდანტი, ბრანდმაიორი და ჯარის უფროსი; აქვე მოვიდნენ ზღვათა სამინისტროს გამგე, ზღვათა მთავარ-შტაბის უფროსი თავისის თანაშემწეთი და პეტერბურგის ნავთ-სადგურის უფროსი; აგრეთვე საფრანგეთის საელჩო ელჩის მეთაურობით. დილის 11 საათსა და 45 წუთზედ გემი „ალექსანდრია" მოვიდა პეტერბურგს. ამ გემს ყველა გემებიდგან სალამი მისცეს და აღტაცებულის „ურა".ს ძახილით მიეგებნენ. როდესაც გემიდგან გადმოვიდა, ყველა იქ მყოფნი მიესალმნენ ფორს. მასვე მიეგება პაწია ქალი, სალამი უთხრა და საუცხოვო ყვავილების თაიგული მიართვა. მივიდა-რა გამწკრივებულ დარაჯთან, პრეზიდენტმა სალამი უთხრა მხედართ-მთავრებს და დარაჯს ჩაუარა, რომლის დროსაც მუსიკა მარსელიეზას უკრავდა. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ზოგან პრეზიდენტის ეტლში უხვის ხელით ისროდნენ ვარდებსა და ყვავილებს. ჩაბრძანდა რა ეტლში გენერალ-ლეიტენანტ ბილდერლინგთან ერთად, პრეზიდენტი წაბრძანდა პეტრე პავლეს ციხეში. ამ დროს აღტაცებულის ხალხის ხმა გაისმოდა. პრეზიდენტის ეტლს წინ მიუძღოდნენ ურალის ჯარის ყაზახნი. თუმცა დიდი წვიმა მოდიოდა, მაინც მთელს იმ გზაზედ, საითაც-კი ფორს უნდა გაევლო, უთვალავი რიცხვი ხალხი იდგა. 12 საათზედ პრეზიდენტი ფორი მოვიდა პეტრე-პავლეს ციხეში. ციხეში ჯარი იყო გამწკრივებული. პრეზიდენტს დაუხვდა ციხის უფროსი თავისის მოხელეებით. ფორს მთელი ამალა თან ახლდა. პრეზიდენტის მოსვლამდე ტაძარში შეტანილი იყო გვირგვინები, რომლებითაც საფრანგეთის ერის სხვა-და-სხვა წარმომადგენელთ შეამკეს კუბო. პრეზიდენტი ფორი მიუახლოვდა რა იმპერატორის ალექსანდრე III აკლდამას, ნელის ხმით ილოცა და აკლდამაზედ დასდო ნიშანი მშვიდობიანობისა—ოქროს ფოთოლი მირსიენისა, საუცხოვო ხელოვნებისა. ამის შემდეგ ფორმა ინახულა აკლდამანი საიმპერატორო გვარეულობის განსვენებულ წევრთა. მერე პატივცემულმა სტუმარმა დაწვრილებით დაათვალიერა ტაძარი და 12 საათსა და 20 წუთზედ წავიდა პეტრე პავლეს ციხიდგან.

პეტრე-პავლეს ციხიდამ პრეზიდენტი ფორი წავიდა საფრანგეთის საქველ-მოქმედო საზოგადოების სახლში, სადაც შეკრებილნი იყვნენ წევრნი საფრანგეთის ახალ-შენისა და აგრეთვე მრავალი წარჩინებულნი, რომელთა შორის იყო შინაგან საქმეთა მინისტრიც. პრეზიდენტს მიეგება გრაფინია მონტებელო, თავჯდომარე და წევრნი საფრანგეთის საქველ-მოქმედო კომიტეტისა. ფორი შევიდა ამ საზოგადოების კარის ეკკლესიაში და შემდეგ სამღვდელოებას გაჰყვა იმ ადგილამდე, სადაც ახალის შენობის საძირკველი უნდა ჩაყრილიყო. აქ გარდახდილ იქმნა პარაკლისი და წაკითხულ საძირკველში ჩასდები წარწერიანი ფიცარი ლითონისა, რომელიც თვის ადგილას ჩასდეს ლითონის ფულთან ერთად. საძირკვლის პირველი ქვა ჩაამაგრა გრაფინიამ მანტებელომ, მეორე—პრეზიდენტმა ფორმა; შემდეგ: ჰანოტომ, ბუადეფრმა, ჟერვემ, შინაგან საქმეთა მინისტრმა და საფრანგეთის ახალშენის წევრებმა. საძირკვლის ჩაყრის შემდეგ მუსიკამ დაუკრა რუსთა საერო საგალობელი და მარსელიეზა. შემდეგ ფორი წავიდა პეტრე დიდის სახლში და აქ შეჰხვდა ხელმწიფე იმპერატორსა და დიდს მთავრებს. აქედგან ხელმწიფე იმპერატორი, პრეზიდენტი, მინისტრი ჰანოტო, ადმირალი ჟერვე, გენერალი ბუადეფრი ღ საფრანგეთის ელჩი წავიდნენ სადღესასწაულოდ მორთულის პატარა გემით იმ ადგილისაკენ, სადაც წმ. სამების ახალის ხიდი უნდა გაკეთდეს. პეტრე-პავლეს ციხიდგან ამ დროს ზარბაზნები დასცალეს. მთელი ნევა, საძირკვლის ჩასაყრელ ადგილის მახლობლად, მოფენილი იყო ბაირაღებით მორთულ გემებით, მათ შორის იყო რვა ნალმიანი გემი და იახტა. საგანგებოდ გაკეთებულ აივანზედ დიდ-ძალი ხალხი იდგა; საგანგებოდვე დამზადებულს მშვენიერს კარავში იმყოფებოდნენ სადიპლომატო კორპუსის წარმომადგენელნი, მინისტრები, სხვანი წარჩინებულნი და აგრეთვე პეტერბურგის საბჭოს ხმოსანნი.

როდესაც ხელმწიფე იმპერატორი და პრეზიდენტი ფორი მობრძანდნენ, მიტროპოლიტი პალადი მივიდა იმ ადგილას, სადაც საძირკველი უნდა ჩაეგდოთ. იმას მისდევდნენ ხელმწიფე, პრეზიდენტი ფორი, დიდნი მთავარნი და წარჩინებულნი. მიტროპოლიტმა პალადიმ წაიკითხა ზედ წარწერა საძირკვლის ფიცრისა, ასხურა საძირკვლის ადგილი, ჩასდო ფიცარი მომზადებულ ადგილას და ჩაუშო იქვე ოქროს ფული. იქვე ჩააგდეს ფული პრეზიდენტმა ფორმა, ხელმწიფე იმპერატორმა, დიდთა მთავართ, ქალაქის მოურავმა და სხვათა. შემდეგ პირველი ქვები გაამაგრეს ხელმწიფე იმპერატორმა, პრეზიდენტმა და დიდმა მთავრებმა. ამითი დასრულდა საძირკვლის ჩაყრა. სამღვდელოება კარავში დაბრუნდა, ხელმწიფის თანადასწრებით პარაკლისი გარდაიხადა და იგალობა „მრავალ-ჟამიერი" მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათა სადღეგრძელოდ. ნაშუადღევის ორს საათზედ ხელმწიფე იმპერატორი ორთქლ-მავალ გემში ჩაბრძანდა და წავიდა. პრეზიდენტი ფორი ურალის ყაზახების თანხლებით საფრანგეთ-რუსეთის საზოგადოების ქარხანაში წავიდა. გზაზედ იმის და მიუხედავად, რომ წვიმა მოდიოდა, აუარებელი ხალხი იდგა და აღტაცებული ეგებებოდა. პეტერბურგის ბირჟა დღეს დაკეტილი იყო.

სატახტო ქალაქების ჟურნალ-გაზეთების მიერ საფრანგეთიდგან მოსულ სტუმრების პატივსაცემად გამართულმა ნადიმმა ჩინებულად ჩაიარა. 250 სტუმრამდე შეიკრიბა. უკრავდა ორკესტრი და ხორო ჰგალობდა. ნადიმზედ მოვიჯნენ საფრანგეთის ესკადრის აფიცრები, რომელთაც მარსელიეზით და რუსეთის საერო საგალობლის დაკვრით მიეგებნენ. ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. მრავალი სიტყვა წარმოითქვა. „მართებლობის მოამბის" მთავარმა რედაქტორმა წარმოსთქვა სადღეგრძელო საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა, საფრანგეთის სამხედრო აგენტმა მულენმა—ხელმწიფესი, ადმირალმა სკრიდლოვმა—საფრანგეთის ჯარისა და ფლოტისა, მულენმა—რუსეთის ჯარისა და ფლოტისა, „სვეტის" რედაქტორ-გამომცემელმა კომაროვმა—საფრანგეთისა. საუცხოვო სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ტატიშჩევმა და გაზ. „Temps"-ის რედაქტორმა.

—✦✦—


# განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(21)




ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

პატივცემული ტფილისისა და თითქმის მთელის ქართლ-კახეთის საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჩემის სამღებრო ქარხნიდგან (заводъ красокъ) ეძლევათ მათ საუკეთესოდ მომზადებული საღებავები (კრასკები). დადგა რა ზაფხული, ვამზადებ ყოველს ნაირს საღებავს: იატაკებისას, სახურავებისას, კარ-ფანჯრებისას, და სხვათა, მხოლოდ ამ წლობით განსხვავება იმაშია, რომ ზეთით არეულ კრასკებს ფუთს მანეთ ნაკლებად ვყიდით ნაღდზედ.

უმთავრესი ქარხანა გასაღლესად კრასკებისა გადავიტანე მიხაილოვის ქუჩაზედ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97, და წვრილად გასაყიდად ერთი განყოფილება მაქვს იარმუკაზედ, სადაც აქამდის ვვაჭრობდი, იმის პირდაპირ, ქუთაისის სასტუმროს ქვეშ, და მეორე განყოფილება—ავლაბარში, სირაჯხანის თავზედ.

ყველა საქონლის ყიდვის მსურველთ მიჰმართონ პირდაპირ განყოფილებას, რადგანაც ხელოსნებს, თვისის პირადის ანგარაშების გამო მსყიდველები მიჰყავთ იქ, სადაც უვარგისს საღებავებს აძლევენ.

ამათ გარდა, ვკისრულობ ყოველ გვარს რემონტებს სახლებისას. საქონელი სხვა ალაგებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას-დადებულ.

ა. თუთაევი (—6.—8)


Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Августь 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე,